შინაარსი

- საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული სუბიექტების მიერ შემოსავლების სამსახურის ავტორიზირებული გვერდის პაროლის აღდგენისა და საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილება
- საინვესტიციო ოქროს სტატუსის დადგენა

ცვლილება ბრძანებაში

საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული სუბიექტების მიერ შემოსავლების სამსახურის ავტორიზირებული გვერდის პაროლის აღდგენისა და საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილება

2026 წლის 2 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №61, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განისაზღვრა საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული სუბიექტების მიერ შემოსავლების სამსახურის ავტორიზირებული გვერდის პაროლის აღდგენასთან და საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცედურები.

ცვლილების თანახმად, №996 ბრძანების მე-11 მუხლს დაემატა ახალი 6^1 და 7^1 პუნქტები. აღნიშნულით განისაზღვრა, რომ ისეთი მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემთხვევაში, რომელთაც ჰყავთ ერთზე მეტი ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და რომელთა რეგისტრაციას ახორციელებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის პაროლის აღდგენისა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრის ცვლილების მოთხოვნით მომართვის უფლება აქვს მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მართვაზე უფლებამოსილ ხელმძღვანელ პირს.

ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ შემოსავლების სამსახურს აღნიშნული სუბიექტების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 31 მარტიდან

საინვესტიციო ოქროს სტატუსის დადგენა

2026 წლის 2 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №72, რომლითაც დამტკიცდა დანართი „საინვესტიციო ოქროს სტატუსის დადგენის დამატებითი კრიტერიუმებისა და წესის, აგრეთვე საინვესტიციო ოქროს შესაბამისი ოქროს მონეტების სიის შესახებ“.

ცვლილების შედეგად განისაზღვრა საინვესტიციო ოქროს სტატუსის დადგენის კრიტერიუმები და იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა წარდგენაც სავალდებულოა საინვესტიციო ოქროს იმპორტისას. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტის მიერ სრულყოფილად არ იქნება

წარდგენილი დანართით გათვალისწინებული დოკუმენტები, პირი ვერ ისარგებლებს სსკ-ის 173-ე მუხლის „უ1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათით ანუ საინვესტიციო ოქროს იმპორტი ვერ გათავისუფლდება დღგ-ით დაბეგვრისგან. ამასთანავე, საინვესტიციო ოქროს მიწოდებისას გადასახადის გადამხდელს უნდა გააჩნდეს: სინჯის დამადასტურებელი დამღა, ნაკეთობის ფორმის აღწერა, მწარმოებლის სერიული ნომერი, ASSAY სერთიფიკატი ან დაუზიანებელი შეფუთვა და ინვოისი/ხელშეკრულება საქონლის მახასიათებლებით.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 14 მარტიდან და ვრცელდება 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება შემოსავლების სამსახურის ავტორიზებულ გვერდზე პაროლის აღდგენასა და საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილებასთან, ასევე საინვესტიციო ოქროს სტატუსის დადგენასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge
▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.